# საქართველოს პარლამენტის

# დადგენილება

**საქართველოს თავდაცვის ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 198-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად
საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს თავდაცვის ძალების რაოდენობა (სამხედრო მოსამსახურეთა შტატი) 2020 წელს: არაუმეტეს 37 000 (ოცდაჩვიდმეტი ათასი) კაცისა; მათგან საქართველოს თავდაცვის სამინისტროსი – არაუმეტეს 37 000 (ოცდაჩვიდმეტი ათასი) კაცისა.

2. ამ დადგენილების პირველი პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვა არ ვრცელდება საომარი მდგომარეობის დროს, აგრეთვე თავდაცვის ძალების სარეზერვო სამსახურში გასაწვევი პირების რაოდენობაზე და საქართველოს თავდაცვის სამინისტროში არსებულ დროებით შტატებზე.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს თავდაცვის ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 27 დეკემბრის №4234-რს დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 28.12.2018, სარეგისტრაციო კოდი: 120090000.09.001.016505).

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — არჩილ თალაკვაძე

თბილისი,

10 დეკემბერი 2019 წ.

N5442-Iს